ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

უჩა ოქროპირიძე
ოლეგ ჯიბაშვილი

# ფოტოალბომი

## აჭარა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში

## (1988-1993)

გამომცემლობა
"შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"
ბათუმი-2013

UDC(უაკ) 94(47 9.223)(084.12)
ო-873

*ეძღვნება საქართველოს ეროვნული გმირის — მერაბ კოსტავას ხსოვნას*

**რედაქტორი:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ავთანდილ სონღულაშვილი**

**რეცენზენტები:** ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ოთარ თურმანიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ოთარ გოგოლაშვილი**

**ISBN 978-9941-434-37-2**
**© "შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი" - 2013**





## წინასიტყვაობა

2010 წლის გაზაფხულზე ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში სრულიად შემთხვევით გავიცანი ბათუმელი ჟურნალისტი გულო ფუტკარაძე, რომელმაც თავისი ნაშრომის რედაქტირებისათვის ჩვენს ინსტიტუტს მოაკითხა.

აღმოჩნდა, რომ ქალბატონი გულო ყოფილა საქართველოში უახლოეს წარსულში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერი და მონაწილე. სწორედ მან გადმოგვცა მერაბ კოსტავას ხელით დაწერილი წერილის ორიგინალი, რომელშიც საქართველოს ეროვნული გმირი აღნიშნავს: „გისურვებთ სულ მალე თქვენი საყვარელი საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას. 1989 წ. 3/VI. 8 სთ.“ მანვე მოგვაწოდა მის მიერვე გადაღებული ფოტო-სურათიც, რომელშიც ამ წერილის დაწერის მომენტია აღბეჭდილი. სურათის მეორე მხარეს კი მერაბის ხელითვე გაკეთებული წარწერა – „სულ მალე გვეხილოს დამოუკიდებელი საქართველო“ – მერაბ კოსტავა.“

აღნიშნული წერილების ორიგინალები და ფოტოსურათი იქცა საბაბად, რომ ერთხელ და სამუდამოდ განგვეხორციელებინა ჩვენი დიდი ხნის ჩანაფიქრი, ფოტო-ალბომის – „აჭარა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში“ – გამოცემა, რომლისთვისაც საჭირო ფოტო-მასალას ამ მიზნით დიდი ხანია ვაგროვებდით. მათი უანგაროდ გადმოცემისათვის დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ ფოტო-დოკუმენტალისტებს ბეჟან მელუასა და, განსაკუთრებით, გიზო ჩიგოგიძეს, რომელმაც სამასამდე ფოტოსურათის შემცველი დისკი მოგვაწოდა; აგრეთვე ჟურნალისტ გულო ფუტკარაძეს, რომლის გულისხმიერება და ამ საქმისადმი ერთგულება, მართლაც მისაბაძია.

მის მიერ მოწოდებულ სურათსა და მერაბ კოსტავას ხელნაწერ ორიგინალებს წინ ვუმძღვარებთ აღნიშნულ ფოტოალბომს და აქვე აღვნიშვნავთ, რომ იგი ეძღვნება სწორედ საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ხსოვნას.

**უჩა ოქროპირიძე**

მხარი დაუჭირეთ საარჩევნო ბლოკს

მრგვალი მაგიდა ---

თავისუფალი საქართველო

საქართველოს პელსინკის კავშირ
ბათუმის ფილიალი

1987 წლის 11 დეკემბერს ქალაქ თბილისში შედგა სრულიად საქართველოს ილია ჭავჭავაძის საზოგადოების დამფუძნებელი კრება ეროვნული მოძრაობის 41 აქტივისტის მონაწილეობით, რომლის პროგრამისა და წესდების პრეამბულაში ნათქვამია, რომ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ გაერთიანებას, რომლის მიზანია: ქართველი ერის ინტერესებისა და უფლებების დაცვა, ზრუნვა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის შესანახად და ეროვნული თვითშეგნების განსამტკიცებლად. რასაც მოჰყვა პრაქტიკული ნაბიჯები ქართული ეროვნული ძალთა დარაზმვისა და მათი ქმედებების ერთიანი მიზნისაკენ წასამართავად. სწორედ ამის შედეგი იყო თბილისის 1988 წლის 26 მაისის, 20 ივლისის, 21-22 სექტემბრის ხალხმრავალი მიტინგი-მანიფესტაციები და, განსაკუთრებით, უმნიშვნელოვანესი 22-29 ნოემბრის შეუპოვარი აქციები.

თბილისში მიმდინარე პროცესებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ეროვნული მოძრაობის ძალთა გამოღვიძების თვალსაზრისით. სწორეთ მათ შეამზადეს ნიადაგი ბათუმის 1988 წლის 21 ოქტომბრის აქციისათვის, რომელზედაც თბილისიდან ჩამობრძანდა ზვიად გამსახურდია. აჭარის რეგიონისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1988 წლის 20 ნოემბერს ქალაქ ბათუმში გამართული მიტინგი-მანიფესტაცია, რომელზედაც თბილისიდან კვლავ ჩამობრძანდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა. აღნიშნულ აქციაზე, პოლიტიკურის გარდა, დაისვა ბათუმში არსებული მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მართლმადიდებლური ეკლესიის გამგებლობაში გადაცემის მოთხოვნა, ამასთან, ჩვენი კუთხის ისტორიაში პირველად, მოხდა საქართველოში არსებული ავტონომიური ფორმირებების არსებობის გაკრიტიკება. ამავე მიტინგზე თქვა ზვიად გამსახურდიამ თავისი ცნობილი სიტყვა: „ძმები აჭარლები ჭეშმარიტი ქართველიბია! ჩვენი მტრები ცდილობენ საქართველოსაგან აჭარის ჩამოშორებას, აჭარლების არაქართველებად გამოცხადებას, მათი მაჰმადიანური სარწმუნოების გამო. სირცხვილი ასეთ ხალხს! აჭარა საქართველოა“ [ჟურნ. „გუშაგი“, □18, პარიზი, 1989, თებერვალი, გვ.21].

თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას სიტყვებმა აღნიშნულ მიტინგზე, ცნობილი ბათუმელი ინტელეგენტი და საზოგადო მოღვაწე ნაზი მიქელაძე ასე იგონებს: „ ... დაგვეუფლა ეროვნული სიამაყის გრძნობა. თითქმის ყველას, იქ დამსწრეთ, თვალებში სიხარულისა და აღტაცების ცრემლები უბრწყინავდათ... ასეთი შთაბეჭდილების მოხდენა შეეძლო მხოლოდ ეროვნულ გმირთა ცოცხალ სიტყვას, მათ პიროვნულ ღირსებასა და გამბედაობას...“ [გაზ. „ჟამთააღმწერელი“, □1, 2005, 17 მაისი].

საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აქტიობით გამოირჩეოდა 1989 წლის დასაწყისიც. აჭარაში იგი ეროვნული მოძრაობის ძალთა გარშემო საზოგადოების მოწინავე ნაწილის ახალი კონსოლიდაციით აღინიშნა. ბათუმში განსაკუთრებით რეზონანსული იყო საქართველოს გასაბჭოებისადმი მიძღვნილი საპროტესტო გამოსვლები, რამაც მთელ აჭარაში ჰპოვა გამოხმაურება. არნახული ეროვნული გამოღვიძება და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სრულიად საქართველოს მასშტაბით ასევე არნახული გამოცოცხლება მოჰყვა 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებულ ტრაგედიას, რომლის შესახებაც ბათუმში იმავე დილით გახდა ცნობილი. იმავე დღეს ილია მართლის ძეგლთან შეკრებილმა ეროვნული მოძრაობის ოცამდე აქტივისტმა გაშლილი დროშით გაიარა ქალაქ ბათუმის ქუჩები და ავიდა „სოუქსუს სასაფლაოზე“, სადაც წმინდა გიორგის სახ. ეკლესიის ეზოში გამართულ თათბირზე გადაწყდა, რომ მეორე დღეს, 10 აპრილს, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის (დღევანდელი შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი) ეზოში მოწყობი-

ლიყო საპროტესტო მიტინგი, რომელიც დამთავრდებოდა ქალაქის ქუჩებში მანიფესტაციით. 10 აპრილსვე, ინსტიტუტის უკან, ბათუმის ბულვარში გაშენდა 9 აპრილს თბილისში ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სკვერი, სადაც შემდგომში დაიდგა გრანიტის ქვა წარწერით – „9 აპრილის ცრემლი...“.

განსაკუთრებით გრანდიოზული მიტინგი-მანიფესტაციებით აღინიშნა ბათუმში 1989 წლის 26 მაისი, რომელშიც თითქმის მთელმა აჭარამ მიიღო მონაწილეობა და რომელზედაც სასტიკად დაიგმო 9 აპრილის ტრაგედიის ორგანიზატორთა ქმედებანი. მისმა მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და მიმართეს მასში არსებული ავტონომიური ფორმირებების სასტიკ კრიტიკას, მოითხოვეს აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გაუქმება. 1989 წლის 3 ივნისს გამართულ მრავალათასიან მიტინგ-მანიფესტაციაზე კი დაისვა 9 აპრილის მოვლენების შემსწავლელი საკავშირო კომისიისადმი უნდობლობის საკითხი და საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობას გაეგზავნა სპეციალური მიმართვა. ცოტა უფრო ადრე კი, ეროვნული მოძრაობის აქტივობის შედეგად, შესაძლებელი გახდა ბათუმის მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის გახსნა და მისი მართლმადიდებელი მრევლისათვის გადაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ 9 აპრილის შემდეგ მრავალათასიანი მიტინგ-მანიფესტაციები ბათუმისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რომელთაც ფართო გამოხმაურება ჰქონდა მთელს აჭარაში. მათზე, ზემოთ აღნიშნულ პრობლემებთან ერთად, აქტიურად ხდებოდა სრულიად საქართველოს მასშტაბით წამოჭრილი ეროვნული მოძრაობისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხების განხილვა.

1989 წლის ზაფხულის დასაწყისში გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა, რომელზედაც აჭარა წარსდგა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციით.

საკმაოდ გააქტიურდნენ აჭარის რეგიონები, განსაკუთრებით ქობულეთის და ხულოს რაიონები. 1989 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე რადიკალური ხასიათის ხალხმრავალი აქციები მიმდინარეობდა ქობულეთის რაიონში, სადაც, სხვა საკითხებთან ერთად, მკვეთრად დაისვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხიც .

აჭარაში გამორჩეულად მწვავე ხასიათი მიიღო საბჭოთა არმიაში ახალგაზრდობის გაწვევის საკითხმა, რასაც თან სდევდა შიმშილობის მძაფრი აქციები; ანალოგიური აქციები მიმდინარეობდა საქართველოს სხვა ქალაქებშიც.

1989 წლის 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა, რომლის დაკრძალვა ქართველი ხალხის ეროვნული გამოღვიძების გამომხატველ მანიფესტაციად იქცა. მასში აქტიური მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართელომ და, მათ შორის, აჭარამაც.

უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენდა ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლა აჭარაში 1990წლის 18 მარტს და ქობულეთსა და ბათუმში ლენინის ძეგლთა დემონტაჟი. ამავე ხანებში მოხდა 1921 წლის მარტში ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიგება და ძველსავე აძგილზე მათი ხელახალი დაკრძალვა, აგრეთვე, უცხოეთში ქართული ემიგრაციის წარმომადგენლის, ვიქტორ ხომერიკის ბათუმში ჩამოსვლა, რომელსაც ქალაქის საზოგადოებამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო.

განსაკუთრებით გრანდიოზული ღონისძიებებით აღინიშნა ბათუმში 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავი, რომელიც ქალაქის მაშინდელმა ოფიციალურმა ხელისუფლებამ ეროვნული მოძრაობის აქციისაგან განცალკევებით აღნიშნა. ეროვნული მოძრაო-

ბის წარმომადგენლებმა მოუწოდეს მათ, შეერთებოდნენ საერთო-სახალხო აქციას, რასაც მონაწილეთა უმრავლესობა დადებითად გამოეხმაურა.

1990 წლის 19 აპრილს ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა მოაწყვეს სოფ. წაბლანაში დატრიალებული ცნობილი ტრაგედიის წლისთავისადმი მიძღვნილი აქციები, სადაც გაკრიტიკებული იქნა ამ ეკოლოგიური კატასტროფის შედეგად დაზარალებულთა მიმართ მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები.

აჭარაში ეროვნული მოძრაობის ძალთა შორის განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ ბლოკში – „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ – გაერთიანებული ორგანიზაციები, მათ შორის საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ბათუმის წარმომადგენლობა.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, რამდენიმე დღეში, საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად განსახურდია და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II ბათუმს ეწვივნენ, სადაც მათ მეტად გულთბილი შეხვედრა მოუწყო აჭარის მოსახლეობამ. ისინი მივიდნენ მაშინ ახლად დაარსებულ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მისგან ნაკურთხი ოქროს ჯვარი გადასცა აღნიშნული უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დურსუნ ბალაძეს.

ამავე პერიოდში მოხდა ბათუმში საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის დაარსება, რომელმაც თავისი პირველი ექსპოზიცია – ეროვნული მოძრაობა ქართულ მხატვრობაში – 1991 წლის 26 მაისს გახსნა.

1991 წლის მარტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის შედეგად, გახდა ასლან აბაშიძე, ხოლო ბათუმის პრეფექტი – ტარიელ ფუტკარაძე. მალე მათ შორის დაპირისპირებამ მძაფრი ხასიათი მიიღო, რასაც მოჰყვა 1991 წლის 22-23 აპრილის ბათუმის აქციები. აღნიშნული აქციების შემდეგ განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძესა და მის მოადგილე ნოდარ იმნაძეს შორის, რაც იმავე წლის 30 აპრილის ღამით, ბათუმში, მთავრობის სახლში მომხდარი ტრაგედიით დასრულდა.

1991-1992 წლების დეკემბერ -იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და მისი მომხრეები ხელისუფლებას ჩამოაშორეს, რასაც თბილისსა და საქართველოს რეგიონებში მოჰყვა სახალხო გამოსვლები კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით. 1992 წლის შემოდგომის დასაწყისში ბათუმში შეიქმნა საქართველოს ეროვნული დაუმორჩილებლობის აჭარის კომიტეტი, რომლის აქტიური მხარდაჭერის შედეგად, 1993 წლის მარტის დასაწყისში, აქ ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების, ხოლო იმავე წლის 21 მარტს – ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის“ აჭარის სამხარეო ორგანიზაციები, რომლებმაც აჭარაში ფართო მუშაობა გაშალეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მიზნით.

## 1988 წლის ოქტომბერ-ნოემბრის აქციები თბილისში

ბათუმელი ფოტო-დოკუმენტალისტი გიზო ჩიგოგიძე თბილისში, 1988 წლის შემოდგომის აქციებზე

სიტყვით გამოდის ირაკლი ბათიაშვილი, იქვე დგანან მერაბ კოსტავა და ზვიად გამსახურდია, წინა პლანზე ირაკლი წერეთელი.

სიტყვით გამოდის ზურაბ ჭავჭავაძე.

სიტყვით გამოდის ბათუმელი რობერტ ნადირაძე

სიტყვით გამოდის გელა ნიკოლაიშვილი

ირაკლი წერეთელი და ნოდარ ნათაძე აქციაზე

სიტყვით გამოდის ნოდარ იმნაძე

## 1988 წლის 20 ნოემბერის მიტინგი-მანიფესტაცია ბათუმში

აჭარის რეგიონისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1988 წლის 20 ნოემბერს ქალაქ ბათუმში გამართული მიტინგი-მანიფესტაცია, რომელზედაც თბილისიდან ჩამობრძანდნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

**აქციის დასაწყისი**

მანიფესტაცია ბათუმის ქუჩებში. აქციის დანიშნულების შესახებ ინტერვიუს აძლევს ნოდარ იმნაძე

მიტინგი ანგისის სტადიონზე; სიტყვით გამოდის ზვიად გამსახურდია



მიტინგს მგზნებარე სიტყვით მიმართა მერაბ კოსტავამ

ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და ნოდარ იმნაძე ტრიბუნაზე



სიტყვით გამოდის ნოდარ იმნაძე

მიტინგის მონაწილენი განმარტებებს ითხოვენ აჭარის ხელისუფლებისაგან

## 9 აპრილის გამოძახილი აჭარაში

1989 წლის 9 აპრილის მეორე დღესვე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ეზოში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მოთხოვნითაც იმავე დღეს, ინსტიტუტის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბულვარში, გაშენდა 9 აპრილის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სკვერი, სადაც შემდგომში დაიდგა გრანიტის ქვა წარწერით – „9 აპრილის ცრემლი...“

სკვერი შემდგომში ეროვნული ღონისძიებების ჩატარების ტრადიციულ ადგილად იქცა.

**9 აპრილის სკვერის გახსნის ერთ-ერთი ორგანიზატორი უჩა ოქროპირიძე**

**1989 წლის 26 მაისი, მანიფესტანტები 9 აპრილის მემორიალთან**



**9 აპრილის** მოვლენებისადმი მიძღვნილი გრანდიოზული მანიფესტაცია-მიტინგებით აღინიშნა ბათუმში 1989 წლის 26 მაისი.

ბათუმის ბულვარის ძველ შადრევნებთან გამართულ თითქმის 20-ათასიან მიტინგზე სხვა პრობლემებთან ერთად დაისვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხი. აღნიშნული მიტინგი მიჰყავდა დავით ბერძენიშვილს. სიტყვით გამოვიდნენ: მამა დავითი (მეუფე დიმიტრი), დავით ხახუტაიშვილი, ნუგზარ ჯაფარიძე, უჩა ოქროპირიძე, ბადრი თევზაძე, გოდერძი ტოტოჩავა,მალხაზ სიორიძე, ნაზი მიქელაძე და სხვები.

მიტინგს ლოცავს მამა დავითი (მეუფე დიმიტრი)

მიტინგს ხსნის და შესავალ სიტყვას წარმოთქვამს დავით ბერძენიშვილი

მიტინგს მიმართავს მამა დავითი (შიოლაშვილი), მარჯვნივ დგას აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დავით ხახუტაიშვილი

წინა პლანზე ნუგზარ ჯაფარიძე, მამა დავითი და იური ბიბილეიშვილი



აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხზე მსჯელობს უჩა ოქროპირიძე

მიტინგზე გამოდის
ბადრი თევზაძე



„...ძირს აჭარის ავტონომია!!!“ –
ამბობს გოდერძი ტოტოჩავა

მიტინგს მიმართავს
მალხაზ სიორიძე

სიტყვას ამბობს
ნაზი მიქელაძე

მარჯვნივ -
ზურაბ რურუა

1989 წლის ივნისის დასაწყისში გაიმართა საბჭოთა კავშირის I სახალხო ყრილობა, რომელზედაც ბათუმში 3 ივნისს ჩატარებული ხალხმრავალი მიტინგიდან გაიგზავნა სპეციალური საპროტესტო მიმართვა.

**მიტინგის ერთ-ერთი ორგანიზატორი აკაკი სვანიძე მანიფესტაციის დროს**

ბათუმის ღვთისმშობლის
ეკლესიის გახსნა
1989 წლის 14 მაისი

## 9 აპრილის შემდეგ ...

თბილისში 9 აპრილს დატრიალებულმა ტრაგედიამ გამოძახილი მთელს საქართველოში ჰპოვა.

საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში ჩატარებულ აქციებში მონაწილეობდნენ აჭარიდან წარგზავნილებიც, რასაც ადასტურებს ჟურნალისტ გულო ფუტკარაძის მიერ გადაღებული, აქ წარმოდგენილი ფოტოები.

ოზურგეთი, მერაბ კოსტავა აქციაზე

მანიფესტაცია ოზურგეთში

ბათუმელი
რობერტ ნადირაძე
ოზურგეთელ
აქტივისტებთან
ერთად

მიტინგი ოზურგეთის თეატრის წინ

## აქციები სოხუმში

სოხუმი

თბილისი, ბათუმელი ჟურნალისტი გულო ფუტკარაძე
(წინა პლანზე, შუაში) აქციის მონაწილეებთან ერთად



**საკმაოდ** გააქტიურდნენ აჭარის რეგიონებიც, განსაკუთრებით ქობულეთისა და ხულოს რაიონები. 1989 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის ქობულეთის ორგანიზაციის ეგიდით რადიკალური ხალხმრავალი აქციები მიმდინარეობდა ქობულეთში, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მკვეთრად დაისვა აჭარის ავტონომიის გაუქმების საკითხიც.

## საქართველოს სახალხო ფრონტის ყრილობაზე...

1989 წლის ზაფხულის დასაწყისში თბილისში გაიმართა საქართველოს სახალხო ფრონტის დამფუძნებელი ყრილობა, რომელზედაც აჭარა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციით იყო წარმოდგენილი.

**აჭარიდან ყრილობაზე წარგზავნილი დელეგატთა ჯგუფი**

**აჭარიდან ყრილობაზე წარგზავნილი დელეგაცია მწერალ მაკა ჯოხაძესთან ერთად**

## საბჭოთა არმიაში გაწვევის წინააღმდეგ ...

1989 წლის თებერვალში საბჭოთა ოკუპაციის საწინააღმდეგო გამოსვლების შემდეგ აქტიური გახდა საბჭოთა არმიაში ქართველი ახალგაზრდების გაწვევის პრობლემა, რის გამოც მთელს საქართველოში, მათ შორის აჭარაშიც, მიმდინარეობდა ხანგრძლივი აქციები მჯდომარე შიმშილობით.



საბჭოთა დროის
ძეძეი
არ გაიცვლების
სხვებზეზე



**1989 წლის** 13 ოქტომბერს ტრაგიკულად დაიღუპა საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა, რომლის გასვენებაც ეროვნულ მანიფესტაციად იქცა – მასში მონაწილეობდა სრულიად საქართველო...

ბათუმელთა ჯგუფი მერაბ კოსტავას პანაშვიდზე

## 9 აპრილის ტრაგედიიდან ერთი წლის შემდეგ...

განსაკუთრებული პოლიტიკური აქტივობით აღინიშნა აჭარაში 1990 წლის გაზაფხული, რასაც ხელი შეუწყო სრულიად საქართველოში ზვიად გამსახურდიას მიერ მოწყობილმა კომუნისტური კერპების მსხვრევამ. იმავე წლის 18 მარტს, ხალხმრავალი აქციების თანმხლებით, მოხდა ლენინის ძეგლების დემონტაჟი ქობულეთსა და ბათუმში.

ბათუმში განსაკუთრებით ტევადი მოვლენებით აღინიშნა 9 აპრილის ტრაგედიის წლისთავი, რომელშიც ათეულ ათასობით მანიფესტანტი მონაწილეობდა. მას გამოეხმაურა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტური ხელისუფლებაც, რომელმაც აღნიშნული დღისადმი მიძღვნილი აქციის ცალკე მოწყობა სცადა, მაგრამ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელთა მოწოდების შემდეგ სამთავრობო ღონისძიების მონაწილეთა უმრავლესობა საერთო-სახალხო მანიფესტაციას შეუერთდა.

ბათუმი. ცოტა ხნის უკან აქედან ლენინი გადმოჰყურებდა ქალაქს ...

9 აპრილის ტრაგედიის წლისთავისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი ხალხმრავალი მანიფესტაცია ბათუმში

9 აპრილის ტრაგედიის წლისთავზე მრავალათასიანი მიტინგი გაიმართა ბათუმის ბულვარის მომღერალ შადრევნებთან, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობებმა. მათ წარმოადგინეს 9 აპრილისადმი მიძღვნილი სიუჟეტის მხატვრული იმპროვიზაცია. მიტინგი ორგანიზებული იყო ბათუმში მოქმედი ეროვნული ძალების მიერ.

...პერმანენტული ხასიათი მიიღო მიტინგებმა ბათუმის დრამატულ თეატრთან

სიტყვით გამოდის მალხაზ სიორიძე

ეროვნულ პრობლემებზე საუბრობს თამაზ დიასამიძე (წინა პლანზე ნოდარ იმნაძე)

მიტინგს მიმართავს რობერტ ნადირაძე
(წინა პლანზე მერაბ კოპლატაძე და კობა ხაბაზი)

## კიდევ ერთი მასობრივი აქცია ბათუმში

ავტონომიური ფორმირებების გაუქმება საქართველოში საყოველთაო მოთხოვნად იქცა...



**აჭარაში** მოქმედ ეროვნულ ძალთა შორის აქტიურობით გამოირჩეოდნენ „მრგვალი მაგიდა-თავისუფალი საქართველო“-ს ორგანიზაციები, მათ შორის საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ბათუმის ჯგუფი.

საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ბათუმის ორგანიზაციის აქტივისტები (მარცხნიდან მარჯვნივ): გულიკო გაბაიძე, ნარგიზ ლორთქიფანიძე, ცისანა ანთაძე და ნუნუ ქაჯაია

## ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპულთა გადასვენება...

1990 წლის მარტში ბათუმის სახალხო ფრონტის ინიციატივით მოხდა 1921 წელს ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპულ საქართველოს პირველი რესპუბლიკის ჯარისკაცთა გადასვენება.

აღნიშნულ ღონისძიებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

## ვიქტორ ხომერიკი ბათუმში...

1989 წლის გაზაფხულზე ბათუმში ჩამოვიდა ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი უცხოეთში ვიქტორ ხომერიკი, რომელსაც გულთბილად შეხვდა ქალაქის საზოგადოება.

ვიქტორ ხომერიკი
ინტერვიუს აძლევს
ჟურნალისტ
ნელი კახიძეს

ვიქტორ ხომერიკი
საქართველოს სახალხო
ფრონტის ბათუმის
ორგანიზაციის
წარმომადგენლებთან

ვიქტორ ხომერიკმა პატივი მიაგო 1921 წელს
ბათუმისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას

გაცილება

## სხალთის ეკლესიის გახსნა...

ეროვნული მოძრაობის გამოღვიძებამ დააჩქარა ქრისტიანული სალოცავების ამოქმედება აჭარაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო სხალთის ეკლესიის გახსნა, რომელსაც დაესწრო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, ბრწყინვალე სასულიერო დასთან ერთად. ღონისძიებაში აქტიური მონაწილეობა მიიღო სრულიად საქართველომ.



## წაბლანას ტრაგედია...

წაბლანას ტრაგედიის წლისთავზე  დაზარალებულთა პრობლემების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული, რასაც მოჰყვა ხალხის უკმაყოფილება.

**ეროვნული ძალები აქტიურად ჩაებნენ აღნიშნული პრობლემების მოგვარების საქმეში**



## აჭარა და საქართველოს ეროვნული ხელისუფლება...

1991 წლის მარტში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, საქართველოს ხელისუფლების დიდი მხარდაჭერის შედეგად გახდა ასლან აბაშიძე, ხოლო ქალაქ ბათუმის პირველი პრეფექტი – ტარიელ ფუტკარაძე. სულ მალე დაპირისპირებამ მათ შორის რადიკალური ხასიათი მიიღო, რასაც მოჰყვა 1991 წლის 22-23 აპრილის ბათუმის აქციები. აღნიშნული აქციების შემდეგ განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს ასლან აბაშიძესა და მის მოადგილე ნოდარ იმნაძეს შორის, რაც იმავე წლის 30 აპრილს ბათუმში მთავრობის სახლში დატრიალებული ტრაგედიით დასრულდა.

ქუთაისის აპარის
ავტონომიური რესპუბლიკას
თავისუფალ დემოკრატიულ
სოციალისტურში

ნოდარ იმნაძის
გასვენება

## საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბათუმში...

1991 წლის გაზაფხულზე ბათუმს ესტუმრნენ საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, სადაც მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყო აჭარის მოსახლეობამ.

**შეხვედრა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან და კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდესთან და უნეტარესთან ილია II-თან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში**



საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბიბლიასა და ოქროს ნაკურთხ ჯვარს  გადასცემს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მის რექტორს, აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, პროფ. დურსუნ ბალაძეს

საქართველოს კათალიკოს-
პატრიარქის, უწმინდესისა და
უნეტარესის, ილია II-ის
მსვლელობა ბათუმის ქუჩებში

**1990 წლის** სექტემბერში ბათუმში დაარსდა საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმი, რომელმაც თავისი პირველი ექპოზიცია გახსნა 1991 წლის 26 მაისს.

**საქართველოს ეროვნული მოძრაობის ისტორიის მუზეუმის კოლექტივის წევრები**

... პირველი ექსპოზიციის გახსნა

## კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოება აჭარაში...

1993 წლის მარტში ბათუმში ჩამოყალიბდა სრულიად საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების  აჭარის ორგანიზაცია, რისთვისაც თბილისიდან ჩამობრძანდნენ აღნიშნული საზოგადოების თავმჯდომარე და გამგეობის წევრები: მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, თამაზ ვაშაძე, გივი კვირიკაძე, სოსო სიგუა, ანზორ აბრალავა და სხვები.

სრულიად საქართველოს კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების  აჭარის ორგანიზაცის დამფუძნებელი კრების მონაწილეები მუხრან მაჭავარიანსა და ელიზბარ ჯაველიძესთან ერთად

## ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელი“ აჭარაში...

1993 წლის 21 მარტს ბათუმში გაიმართა სრულიად საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელი“-ს აჭარის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელმაც აირჩია თავმჯდომარე და გამგეობის წევრები. 27 მარტს აღნიშნული ორგანიზაციის წევრებმა მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ზუგდიდში გამართულ მოძრაობა „ჭყონდიდელი“-ს პირველ კონფერენციაში.

**მოძრაობა „ჭყონდიდელი“-ს აჭარის ორგანიზაციის დამფუძნებელი კრების მონაწილენი**

ბათუმის დელეგაციის
წარმომადგენლები
მოძრაობა
„ჭყონდიდელი“-ს პირველ
კონფერენციაზე
ზუგდიდში
1993 წლის 27 მარტს

კონფერენციაზე სიტყვით გამოდის სრულიად საქართველოს
ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელი“-ს
აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე უჩა ოქროპირიძე

მუხრან მაჭავარიანი ზუგდიდში გამართულ აქციაზე 1993 წლის 27 მარტს

სიტყვით გამოდის უჩა ოქროპირიძე ...

ეროვნული მოძრაობის ბათუმელი აქტივისტები - ნუნუ ნოღაიდელი, უჩა ოქროპირიძე და ლამარა კერვალიშვილი ტელეარხის „თავისუფალი საქართველო“ ოფისში

მისალოცად ელიზბარ ჯაველიძესთან

კონსტანტინეობაზე
აბაშაში 1993 წლის 15 მაისს

სრულიად საქართველოს
ეროვნულ-
პოლიტიკური მოძრაობა
„ჭყონდიდელი“-ს
საინიციატივო ჯგუფთან
შეხვედრა ხულოში

დგანან - მარცხნიდან
მეორე ბადრი შანთაძე,
ნუნუ ნოღაიდელი,
ლამარა კერვალიშვილი,
უჩა ოქროპირიძე,
ვალერი რიჟვაძე

გამოცემლობის დირექტორი — ნანა ხახუტაიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი — ლალი კონცელიძე
ტექნიკური რედაქტორი — ედუარდ ანანიძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.06.2013
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 5
ტირაჟი 50

ფასი სახელშეკრულებო

დაიბეჭდა უნივერსიტეტის სტამბაში
ქ. ბათუმი, ნინოშვილის 35